

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 302-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. სპეციალისტის მიერ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ნივთის აუქციონზე რეალიზაცია არ წარმოადგენს იძულებით აღსრულებას.“;

ბ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. სპეციალისტი ვალდებულია, აუქციონის შესახებ შეატყობინოს საჯარო რეესტრში შეყვანილ უფლებამოსილ პირებს.“;

გ) მე-6 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

7. დაყადაღებული ნივთის რეალიზაცია სპეციალისტის მეშვეობით დაუშვებელია.“.

2. 306-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 306. განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება სპეციალისტთან შეაქვს კრედიტორს (კრედიტორებს). განცხადებაში უნდა აღინიშნოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი, მესაკუთრე, მოვალე, მოთხოვნა და ხელშეკრულება.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი